



დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ააიპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია



ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ირინა დვალი

წევრები:

ირმა ხუციშვილი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ინგა ლომაძე-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

დავით ჩივაძე-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

მაკა ნადარეიშვილი-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

ლეილა ხელისუფალი-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

გიორგი ჩაჩუა-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

ხათუნა ქერაშვილი-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

მზია დადვანი-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ქეთევან ქობალია-სპორტის საგნობრივი ექსპერტი

მანანა როსტომაშვილი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი



ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ		
ზოგადსაგანმანათლებლო სახელწოდება	დაწესებულების	წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა		არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	დაწესებულების	439860152

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია		
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)		ქალაქი სენაკი
ფაქტობრივი მისამართი		ქალაქი სენაკი, რუსთაველის ქ. №116
საფოსტო ინდექსი		4100
ზოგადსაგანმანათლებლო სახელწოდება	დაწესებულების ვებ-გვერდი	www.santalexschool.ge
ზოგადსაგანმანათლებლო სახელწოდება	დაწესებულების ელ-ფოსტა	skolagimazia.senaki@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო სახელწოდება	დაწესებულების ტელეფონის ნომერი	(0413) 27 82 72

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2024 წლის 26 აპრილის ბრძანება MES 4 24 0000472190
--	--



ვიზიტის პერიოდი (თარიღი)

13-14 მაისი, 2024 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

№	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული ენა	ქალაქი სენაკი, რუსთაველის ქ. №116, შენობა 1
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული ენა	ქალაქი სენაკი, რუსთაველის ქ. №116, შენობა 1
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული ენა	ქალაქი სენაკი, რუსთაველის ქ. №116, შენობა 1

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის ბრძანებით განსაზღვრულმა ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დაწყებამდე შეისწავლა სკოლის თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტაცია. დისტანციურად გაიმართა საგნობრივ ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრები, როდესაც განიხილ იქნა ვიზიტის საორგანიზაციო საკითხები, შეიმუშავდა დღის წესრიგი და წარმოების ფარგლებში დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტაციის ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გაეგზავნა წინასწარ. სკოლაში განხორციელებული ვიზიტი წარიმართა წინასწარ გათვალისწინებული დღის რეჟიმის შესაბამისად, მშვიდ და საქმიან გარემოში. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში შეისწავლა სკოლის მიერ შემუშავებული სკოლის ფილოსოფია (შემუშავების, გაზიარების, გასაჯაროების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები და მექანიზმების პრაქტიკაში მოქმედება), ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერისა და მოსწავლეთა მხარდაჭერის მიმართულებით სკოლის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობა. დაათვალიერა საგნობრივ კურიკულუმებთან დაკავშირებული დაწესებულების სასწავლო გარემო, საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები. გაესაუბრა სკოლის წარმომადგენლებს: დირექციას, მასწავლებლებს, მშობლებსა და მოსწავლეებს. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი აქტიურად ჩაერთო სახელმწიფო ენის, მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრების მასწავლებელთა ინტერვიუების პროცესში შესაბამის საგნობრივ ექსპერტებთან ერთად და თავისი მოსაზრებები თუ რჩევები გაუზიარა მათ. ზემოაღნიშნულის საფუძველზე მომზადდა შესაბამისი დასკვნის პროექტი. ექსპერტებმა წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად, გამოკვეთილი მიგნებები გააცნეს დაწესებულების წარმომადგენლებს ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
500	448	600



VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

1. სკოლა-გიმნაზიაში ფორმალურ განათლებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი უკავია არაფორმალურ განათლებას. ამ მიმართულებით მოსწავლეთა თვითმმართველობის ჩართულობით შექმნილია და ფუნქციონირებს შემდეგი კლუბები და წრეები: ა) ეკო-კლუბი „ECO-R“ ბ) კლუბი - „ეთნოგრაფები“ გ) ვიკი-კლუბი დ) ინტელექტუალები-რა? სად? როდის? ე) ხალხური სიმღერისა და გალობის შემსწავლელი წრე ვ) STEM წრე ზ) ქიმიის ინგლისურენოვანი წრე თ) კინომოყვარულთა კლუბი ინგლისურ ენაზე, ი) ინგლისური ლიტერატურის კითხვის კლუბი, კ) სასპორტო კლუბი - „ოქროს საწმისი“, ლ) სამოქალაქო განათლების კლუბი „მომავლის გზა“, მ) მოხალისეობის (წითელი ჯვრის) კლუბი.

2023-2024 სასწავლო წელი გამოცხადდა შოთა რუსთველის წლად. მთელი წლის განმავლობაში სკოლა-გიმნაზიაში ჩატარდა ბევრი აქტივობა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებმა, სკოლის მასწავლებლებმა და საქართველოს საპატრიარქოს სკოლების მასწავლებლებმა.

2. სკოლა-გიმნაზიაშია აქტიურად მუშაობს STEM კლუბი, რომლის ფარგლებშიც განხორციელებულ პროექტებში

ბოლო წლებში სკოლა-გიმნაზიას და მის მოსწავლეებს აქვთ მნიშვნელოვანი მიღწევები. ფოტო და ვიდეო მასალა განთავსებულია აღნიშნულ ბმულზე: <https://utakilasonia.blogspot.com>.



ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 600	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	ექსპერტთა ჯგუფი სკოლის მიერ მოთხოვნილ რაოდენობას ეთანხმება იმ შემთხვევაში, თუ სკოლა-გიმნაზია სასწავლო პროცესს განახორციელებს 2 ცვლაში.

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა

დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი №1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი №		
სტანდარტი №3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი №4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი №		

სტანდარტი №2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი №		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).

სტანდარტი №1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
--------------	------------------	--



ინდიკატორი №		
სტანდარტი №3	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი №		
სტანდარტი №4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი №...		

სტანდარტი №2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი №		

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი №1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი №1.1.1.1.	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	სასურველია, სკოლა-გიმნაზიის მისიაში ფორმულირებული ფრაზა: „შექმნას პოზიტიური, კონკურენტუნარიანი და სწავლისთვის მასტიმულირებელი გარემო“ გადაიტანოს ხედვაში, ხოლო ხედვაში ჩამოყალიბებული ფორმულირება: „მოზარდს განუვითაროს ქრისტიანული ღირებულებებისა და ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის უნარ-ჩვევები, ასწავლოს ოჯახის მართლმადიდებლური ტრადიციების პატივისცემა და სამშობლოს სიყვარული“- ასახოს მისიაში
სტანდარტი №3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი №3.1.1.1.	სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული	სასურველია სკოლა-გიმნაზიამ თავის დებულებაში ასახოს მხოლოდ მმართველობითი საკითხები და პერსონალის ფუნქცია-



		მოვალეობები, ხოლო შინაგანაწესში-სასწავლო პროცესებთან, ქცევასთან და შრომითი ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები
სტანდარტი №4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი №...		

სტანდარტი №2	სასკოლო კურიკულუმი	რჩევა
ინდიკატორი №2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს	<u>სასურველია, დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურების საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში შემოქმედებითი დავალებები, თემების შესაბამისად, იყოს უფრო მრავალფეროვანი (დანართი 5²)</u>
ინდიკატორი №2.1.2.1 №2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	დაწყებითი საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების კურიკულუმების ჩარჩოებში ბოლო სვეტს დაერქვას „სასწავლო რესურსები“, სადაც ბიბლიოგრაფიული სტილის შესაბამისად ასახული იქნება: ძირითადი სახელმძღვანელოს რესურსი, დამხმარე რესურსები, (მაგ., „მასწავლებლის წიგნი“, „მოსწავლის რვეული“), ელექტრონული რესურსების მრავალფეროვნება (ვიდეო/ანიმაციური ფილმები, ინტენეტრესურსები, ელექტრონული რესურსები), აგრეთვე, სპეციალურად შემუშავებული რესურსები, მაგ., დაკვირვების ფურცლები, ექსპერიმენტის აღწერები, პრეზენტაციები და ა.შ. • სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმებში დაფიქსირდეს დაგეგმილი ლაბორატორიული ან/და პრაქტიკული სამუშაოების დასახელება. დაწყებითი საფეხურის საბუნებისმეტყველო კურიკულუმების ჩარჩოებში ჩასწორდეს ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ: პირველი



		კლასის ბუნებისმეტყველების ჩარჩოში, თემაში - „სახლი და სკოლა როგორც გარემო“ ჩაერთოს გამოტოვებული სამიზნე ცნება „გარემოს დაცვა“; მე-2 კლასის ბუნებისმეტყველების ჩარჩოში აისახოს ყველა თემის ფარგლებში გამოტოვებული ქვეცნებები, თემაში „წყალი, როგორც გარემო“ ჩაერთოს სამიზნე ცნება „მოვლენა“, მე-3 კლასის ბუნებისმეტყველების ჩარჩოში, თემაში - „ჩემი ქვეყნის ბუნება“ აისახოს სამიზნე ცნება „გარემოს დაცვა“; მე-4 კლასის კურიკულუმის თემებში „ციკლური პროცესები ბუნებაში“ და „დედამიწა“ - აისახოს თემის ფარგლებში; გამოტოვებული ქვეცნებები (დანართი 5 ²).
ინდიკატორი №2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	სასურველია, დაწყებითი საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებში შემაჯამებელი ან/და სადიაგნოსტიკო დავალებების პირობების შექმნისას, აგრეთვე შუალედური სასწავლო მიზნის ფორმატის კომპლექსურ დავალების/კომპლექსური ბუნების დავალების, ან სასწავლო პროექტების შეთავაზების დროს, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან ინკლუზიური მიდგომები.(დანართი 5 ²)
ინდიკატორები №2.1.2.1, 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების კურიკულუმების ჩარჩოებში ბოლო სვეტს დაერქვას - „სასწავლო რესურსები“, სადაც ბიბლიოგრაფიული სტილის შესაბამისად ასახული იქნება: ძირითადი სახელმძღვანელოს რესურსი, დამხმარე რესურსები, (მაგალითად, “მასწავლებლის წიგნი”, “მოსწავლის რვეული”), ელექტრონული რესურსების მრავალფეროვნება (ვიდეო/ანიმაციური ფილმები, ინტენეტ რესურსები, ელექტრონული რესურსები), აგრეთვე, საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას სპეციალურად შემუშავებული რესურსები, მაგალითად,



		დაკვირვების ფურცლები, ექსპერიმენტის აღწერები, პრეზენტაციები და ა.შ. • სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმებში დაფიქსირდეს დაგეგმილი ლაბორატორიული ან/და პრაქტიკული სამუშაოების დასახელება • საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების კურიკულუმების ჩარჩოებში ჩასწორდეს ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ: მე-7 და მე-9 კლასის ფიზიკის კურიკულუმის ჩარჩოებში აისახოს გამოტოვებული ქვეცნებები. მე-9 კლასის ბიოლოგიის კურიკულუმის თემაში - „უჯრედის მეტაბოლიზმი“- აისახოს ძირითადი საკითხი - „უჯრედის აგებულება და ფუნქცია“, აქვე დაემატოს კლასტერის საკითხები- „უჯრედის მრავალფეროვნება“ და „უჯრედის მეტაბოლიზმი“; თემაში- „სახეობა და პოპულაცია“ ჩაემატოს საკითხი- „ეკოსისტემის კომპონენტები“. ქიმიის მე-7 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში, აისახოს შესაბამის სვეტებში გამოტოვებული ინფორმაცია ძირითადი საკითხთან/საკითხებთან დაკავშირებით, როგორც არის - „ხსნარები“, „წყალში ხსნადობა“, „ხსნარების მნიშვნელობა ყოფა-ცხოვრებაში“ და სხვა (დანართი 5²)
ინდიკატორი №2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებში შემაჯამებელი ან/და სადიაგნოსტიკო დავალებების პირობების შექმნისას, აგრეთვე შუალედური სასწავლო მიზნის ფორმატის- კომპლექსურ დავალების/კომპლექსური ბუნების დავალების, ან სასწავლო პროექტების შეთავაზების დროს, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან ინკლუზიური მიდგომები.(დანართი 5 ²)



ინდიკატორები №2.1.2.1 №2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმების ჩარჩოებში ბოლო სვეტს დაერქვას - „სასწავლო რესურსები“, სადაც ბიბლიოგრაფიული სტილის შესაბამისად ასახული იქნება: ძირითადი სახელმძღვანელოს რესურსი, დამხმარე რესურსები, (მაგალითად, „მასწავლებლის წიგნი“, „მოსწავლის რვეული“), ელექტრონული რესურსების მრავალფეროვნება (ვიდეო/ანიმაციური ფილმები, ინტენეტრესურსები, ელექტრონული რესურსები), აგრეთვე, სპეციალურად შემუშავებული რესურსები, მაგალითად, დაკვირვების ფურცლები, ექსპერიმენტის აღწერები, პრეზენტაციები და ა.შ. • სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმებში დაფიქსირდეს დაგეგმილი ლაბორატორიული ან/და პრაქტიკული სამუშაოების დასახელება. კურიკულუმების ჩარჩოებში ჩასწორდეს ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ: ფიზიკის მე-10, მე-11 კლასების კურიკულუმების ჩარჩოებში აისახოს გამოტოვებული ქვეცნებები.(დანართი 5²)
ინდიკატორი №2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	სასურველია, საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებში შემაჯამებელი ან/და სადიაგნოსტიკო დავალებების პირობების შექმნისას, აგრეთვე შუალედური სასწავლო მიზნის ფორმატის-კომპლექსურ დავალების/კომპლექსური ბუნების დავალების, ან სასწავლო პროექტების შეთავაზების დროს, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან ინკლუზიური მიდგომები (დანართი 5²).
ინდიკატორი №2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური რესურსი (ტიპი, რაოდენობა) უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია, დაწყებითი საფეხურის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხაში სკოლამ შეიტანოს ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიამ გაიზიარა და გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში გამოთქმული შენიშვნა და რჩევები.

1. ვიზიტის დროს სკოლა-გიმნაზიას ჰქონდა მხოლოდ ერთადერთი ხარვეზი, კერძოდ, ინკლუზიური სველი წერტილი მოწყობილი ჰქონდა პირველ სართულზე, მაგრამ შესასვლელი კარი იყო საკმაოდ ვიწრო, რომლითაც სველ წერტილში შესვლა ეტლით მოსარგებლე პირისთვის შეუძლებელი იყო. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა ფოტოები, რომლებშიც ნათლად ჩანს, რომ ინკლუზიური მოსწავლისთვის განკუთვნილ სველ წერტილში თავისუფლად არის შესაძლებელი ეტლით მოსარგებლისთვის შესვლა. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი №3.5.1.4 ჩათვალა დაკმაყოფილებულად.

2. სკოლა-გიმნაზიას ექსპერტთა მიერ მიეცა რჩევა ინდიკატორ №1.2.2.1-სთან დაკავშირებით, კერძოდ, სკოლა-გიმნაზიის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის XII თავის I და II პუნქტების ჩანაწერი სამოქმედო გეგმების მონიტორინგის შესახებ ურთიერთშესაბამისობაში არ იყო: პირველ პუნქტში აღნიშნული იყო: „სკოლა-გიმნაზია ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ერთჯერ - ივნისში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგი“. „სამოქმედო გეგმებში“ იგულისხმება როგორც სტრატეგიული, ასევე ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. ხოლო მეორე პუნქტში ნათქვამი იყო, რომ სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს.

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ გაიზიარა ექსპერტთა რჩევა და აღნიშნული დოკუმენტის მეთორმეტე თავის პირველი და მეორე პუნქტები ურთიერთშესაბამისობაში მოიყვანა. სკოლამ გამოაგზავნა სკოლა-გიმნაზიის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის განახლებული დოკუმენტი. ამდენად, ექსპერტებმა დასკვნის პროექტში გამოთქმული რჩევა დასკვნის პროექტში შესატანად არარელევანტურად მიიჩნია.

3. ვიზიტის დროს სკოლას მიეცა რჩევა ინდიკატორ №3.4.1.1-თან დაკავშირებით, კერძოდ, განეახლებინა ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა შენობის მანსარდაც. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ გამოაგზავნა სასამართლო ექსპერტიზის



ეროვნული ბიუროს 4 ივნისის დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია: „№000458524 ექსპერტის დასკვნით კვლევით ნაწილში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი, მეორე აბზაცის პირველი წინადადება ნაცვლად- „შენობა არის სამსართულიანი“-უნდა იკითხებოდეს- „შენობა არის სამსართულიანი მანსარდით. აღნიშნული წერილი წარმოადგენს №000458524 ექსპერტის დასკვნის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მასთან ერთად“. ამდენად, რჩევა დასკვნისთვის არარელევანტურია.

4. ექსპერტებმა გაითვალისწინეს არგუმენტირებულ პოზიციაში გამოგზავნილი საჯარო რეესტრის ახალი ამონაწერი სკოლა-გიმნაზიის ფართობთან დაკავშირებით და აღნიშნული ასახეს საბოლოო დასკვნაში, კერძოდ, სკოლა-გიმნაზიის შენობის ფართია 2257 კვ.მ.

5. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის პოზიცია ასეთია:

ა) რჩევა „დაწყებითი საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების კურიკულუმების ჩარჩოებში ბოლო სვეტს დაერქვას „სასწავლო რესურსები“. ინდიკატორები №2.1.2.1, №2.1.2.2

დაწყებითი საფეხურის საბუნებისმეტყველო კურიკულუმებში მაგ: გამოკვეთილად პირველი კლასის, მე-5 კლასის და მე-6 კლასის ჩემ ხელთ არსებული გადმოგზავნილი კურიკულუმის ჩარჩოებში არის მითითებული დასახელება „სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის“, მე-2, მე-3 და მე-4 კლასების კურიკულუმების ჩარჩოებში წერია „სასწავლო რესურსები (კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის)“.

ზემოთ აღნიშნულ კურიკულუმებში ბოლო სვეტის დასახელებები ზუსტად არ ასახავს ან/და არ შეესაბამება ინფორმაციას, რომელიც არის მითითებული კურიკულუმის ამ ნაწილში, რადგან კურიკულუმებში ასახული თემები და მათთან დაკავშირებული საკითხი/საკითხების შესასწავლად არ გამოიყენება მხოლოდ კომპლექსური დავალებები. ზოგადად აღსანიშნავია, რომ სკოლა არ იყენებს თავის საკუთარ ორიგინალურ კურიკულუმის ჩარჩოს დიზაინს და იყენებს სარეკომენდაციო ვარიანტს, რომელიც იყო შემოთავაზებული სასკოლო საზოგადოებისთვის იმ დროს, როცა ფართოდ იყო გავრცელებული მიდგომა თემების ფარგლებში საკითხების შესწავლის წარმართვისა კომპლექსური დავალებების გამოყენებით.

ამგვარად, რჩევის სახით ვთავაზობთ სკოლას, კიდევ ერთხელ გაიაზროს ამ სვეტში ასახული ინფორმაციის მნიშვნელობა და შეჩერდეს დასახელებაზე - „სასწავლო რესურსები“, რომელიც ზოგადად საკმაოდ ვრცელ ინფორმაციას მოიცავს და იქნება უფრო რელევანტური.

ბ) რჩევა: „დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში დაფიქსირდეს დაგეგმილი ლაბორატორიული ან/და პრაქტიკული სამუშაოების დასახელება“. ინდიკატორები №2.1.2.1, №2.1.2.2

სკოლა-გიმნაზიის დაწყებით საფეხურზე, ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში, გრაფებში-„სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის“, მითითებული ელექტრონული რესურსები არ მოიცავს ლინკებს (მაგ., პირველი კლასის კურიკულუმის ჩარჩოში), ან შემოთავაზებულია ქიმიური ვიდეო ექსპერიმენტების ლინკები დასახელების მითითების გარეშე, ამიტომ გაურკვეველია, მასწავლებელი რა მიზნით იყენებს ასეთ სამუშაოს - ლაბორატორიული სახით თუ პრაქტიკული დანიშნულებით, მაგ., მე-2 კლ. კურიკულუმში არის ასახული ასეთი ჩანაწერი- „მცენარის ნაწილები“ (<https://www.youtube.com/watch?v=V9yz9bDYkkM>), „სკოლის ლაბორატორია“ ან მე-4 კლასის კურიკულუმში- „მცენარის ნაწილები“ (<https://www.youtube.com/watch?v=V9yz9bDYkkM>) სკოლის

ლაბორატორია“, ამ დროს ეს ტელესკოლის გაკვეთილებია. ამიტომ, სასურველია, მკაფიოდ აისახოს „სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე“ როგორც დასახელება ან/და ნუმერაცია, ასევე ფორმატი (ლაბორატორიული, პრაქტიკული, სადემონსტრაციო, საშინაო სამუშაო/ექსპერიმენტი/ცდა და სხვა).

გ) რჩევა: „საბაზო და საშუალო საფეხურებზე სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების კურიკულუმებში დაფიქსირდეს დაგეგმილი ლაბორატორიული ან/და პრაქტიკული სამუშაოების დასახელება“.

სკოლა-გიმნაზიის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტებში მკაფიოდ არ იკითხება „სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების კურიკულუმებში დაგეგმილი ლაბორატორიული ან/და პრაქტიკული სამუშაოების დასახელება“, შეიძლება გამონაკლისის სახით ჩავთვალოთ ფიზიკის მე-7, მე-8, მე-9 კლასის კურიკულუმები, სადაც არის ვირტუალური ან/და ვიდეო რესურსები (ლინკების სახით) თავისი დასახელებით, თუმცა, მაგალითად, ქიმიის მე-8 კლასის კურიკულუმში არის ასახული ერთი დასახელება „pH-ის განსაზღვრა“, ქიმიის მე-9 კლასის კურიკულუმში დასახელებები არ არის ასახული. რაც შეეხება საბაზო საფეხურის ბიოლოგიის კურიკულუმებს, მე-7, მე-8 და მე-9 კლასის კურიკულუმების ჩარჩოებში დასახელებები არ არის წარმოდგენილი. ცნობილია, რომ საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება შეუძლებელია ექსპერიმენტების და ცდების გარეშე, განსაკუთრებით რეალური/ცოცხალი ექსპერიმენტების გარეშე. საბუნებისმეტყველო კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოში არამხოლოდ უსახელო ლინკები უნდა „იკითხებოდეს“, არამედ სასურველია მკაფიოდ აისახოს „სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე“ როგორც დასახელება ან/და ნუმერაცია, ასევე ფორმატი (ლაბორატორიული, პრაქტიკული, სადემონსტრაციო, საშინაო სამუშაო/ექსპერიმენტი/ცდა და სხვა).

დ) რჩევა: „IX კლასის ბიოლოგიის კურიკულუმის თემაში „უჯრედის მეტაბოლიზმი“ - აისახოს ძირითადი საკითხი „უჯრედის აგებულება და ფუნქცია“, აქვე დაემატოს კლასტერის საკითხები-„უჯრედის მრავალფეროვნება“ და „უჯრედის მეტაბოლიზმი“; თემაში „სახეობა და პოპულაცია“ ჩაემატოს საკითხი-„ეკოსისტემის კომპონენტები“. სკოლა-გიმნაზიის IX კლასის ბიოლოგიის კურიკულუმის თემაში „უჯრედის მეტაბოლიზმი“ - არ არის დასამატებელი ძირითადი საკითხი „უჯრედის აგებულება და ფუნქცია“, რადგან IX კლასის ბიოლოგიის კურიკულუმის თემა „უჯრედის მეტაბოლიზმი“ მოიცავს მხოლოდ უჯრედის ქიმიურ შედგენილობას (არაორგანული და ორგანული ნივთიერებები) და უჯრედის გაყოფის ფორმებს (მიტოზი და მეიოზი), ხოლო თემა „უჯრედის ბიოლოგია“ შედის მე-10 კლასის სასწავლო პროგრამაში, სადაც საუბარია უჯრედის აგებულებასა და ფუნქციაზე, აქვეა განხილული უჯრედული მეტაბოლიზმი ვრცლად. ხოლო რაც შეეხება თემას „სახეობა და პოპულაცია“, საკითხი „ეკოლოგიური ფაქტორები“ მოიაზრებს „ეკოსისტემის კომპონენტებს“ (ბიოტური და აბიოტური).

რჩევების არასავალდებულო ფორმატიდან გამომდინარე, სკოლა უფლებამოსილია გაითვალისწინოს ან არ გაითვალისწინოს აღნიშნული რჩევები, გადაწყვეტილების მიღება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სკოლის უფლებამოსილების სფეროს წარმოადგენს.



ე) საბუნებისმეტყველო საგნებთან დაკავშირებული დანარჩენი რჩევები, სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციიდან გამომდინარე, ამოღებულია საბოლოო დასკვნიდან.

6. სკოლა-გიმნაზიამ არგუმენტირებულ პოზიციაში გაიზიარა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში სტანდარტ 2-ის ინდიკატორ №2.2.2.4.-ში მითითებულია რჩევა, რომელიც ეხება ელექტრონულ საქაღალდეში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების სრულყოფილი დოკუმენტაციის ატვირთვას. სკოლა-გიმნაზიის თითოეულ პედაგოგს აქვს ელექტრონული საქაღალდე სრულყოფილი დოკუმენტაციით. ასევე რჩევა ინდიკატორ №2.1.2.2-სთან დაკავშირებით და საბაზო და საშუალო საფეხურების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში თემა „მძლეოსნობის ელემენტები“ შეცვალა თემით „მძლეოსნობა“. ამდენად, აღნიშნულ ინდიკატორებში მოცემული რჩევები აღარ დაფიქსირდა საბოლოო დასკვნაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისიაა შექმნას პოზიტიური, კონკურენტუნარიანი და სწავლისთვის მასტიმულირებელი გარემო, რათა აღზარდოს მართლმადიდებელი ქრისტიანი, ფიზიკურად, ზნეობრივად და ინტელექტუალურად განვითარებული, გულისხმიერი და შემწყნარებელი მომავალი თაობა, რომელიც თავის პოტენციალს მოახმარს ეროვნულ მიზნებს. ხოლო სკოლა-გიმნაზიის ხედვაა მოზარდს განუვითაროს ქრისტიანული ღირებულებებისა და ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის უნარ-ჩვევები, ასწავლოს ოჯახის მართლმადიდებლური ტრადიციების პატივისცემა და სამშობლოს სიყვარული. სკოლა-გიმნაზიის მისია და ხედვა შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან, რადგან მასში ყურადღება გამახვილებულია ქვეყნის ინტერესების, ღირებულებების, ტრადიციების დაცვაზე, საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების განვითარებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია, სკოლა-გიმნაზიის მისიაში ფორმულირებული ფრაზა: „შექმნას პოზიტიური, კონკურენტუნარიანი და სწავლისთვის მასტიმულირებელი გარემო“ გადაიტანოს ხედვაში, ხოლო ხედვაში ჩამოყალიბებული ფორმულირება: „მოზარდს განუვითაროს ქრისტიანული

ღირებულებებისა და ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის უნარ-ჩვევები, ასწავლოს ოჯახის მართლმადიდებლური ტრადიციების პატივისცემა და სამშობლოს სიყვარული“ ასახოს მისიაში.

2. სკოლის მისიასა და ხედვაში ჩანს, რომ სკოლას აშკარად განსაზღვრული აქვს საკუთარი ადგილი და როლი. სკოლა ზრუნავს მოსწავლეები აღზარდოს ქრისტიანული ღირებულებების მქონე, სამშობლოს მოყვარულ, ტრადიციების დამცველ, ფიზიკურად, ზნეობრივად და ინტელექტუალურად განვითარებულ მოქალაქეებად, რისთვისაც ქმნის პოზიტიურ, კონკურენტუნარიან და სწავლისთვის მასტიმულირებელი გარემოს. ნათელია, რომ სკოლა-გიმნაზიის მიზანია სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცის შექმნა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა-გიმნაზიის დირექტორის 2023 წლის 8 აგვისტოს №147 ბრძანებით შექმნილია სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიან საგნის მასწავლებლები, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, ბუღალტერი, მოსწავლე, მშობლები. აღნიშნულმა ჯგუფმა გადახედა სკოლის მისიასა და ხედვას, გამოკითხა სასკოლო საზოგადოების სხვა წევრები, მიიღო მათგან უკუკავშირი და მათი მოსაზრებების გათვალისწინებითა და მიღებული უკუკავშირის შედეგად ჩამოაყალიბა სკოლის მისია და ხედვა. ამდენად, სკოლის მისია და ხედვა შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა-გიმნაზიის სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფმა შემუშავებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ელექტრონულად დაგზავნა სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრთან, ასევე თემის წარმომადგენლებთან. მიიღო მათგან უკუკავშირი, რომ იზიარებენ სკოლის მისიასა და ხედვას. ამდენად, სკოლა-გიმნაზიის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა-გიმნაზიის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე, იგი ასევე გამოკრულია შენობის შესასვლელ დერეფანში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება: ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლა-გიმნაზიის მისია და ხედვა
- სკოლა-გიმნაზიის დირექტორის 2023 წლის 8 აგვისტოს №147 ბრძანებით შექმნილია სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი
- სკოლა-გიმნაზიის სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის სამუშაო მასალები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის დირექტორის 2023 წლის 8 აგვისტოს №146 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლა-გიმნაზიის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელშიც განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები, კერძოდ, სკოლა-გიმნაზიის მმართველობითი პროცესის - მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმები, ძირითადი ეტაპები, განსაზღვრავს პროცესზე პასუხისმგებელ პირსა და

პროცესში ჩართულ მხარეებს. წესი ასევე განსაზღვრავს აღნიშნული დოკუმენტების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

სკოლა-გიმნაზიაში სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება/გაზიარების პროცესს; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/გაზიარება/დამტკიცების პროცესს; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესს; მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცლილების შეტანის პროცესს; სტრატეგიული გეგმის ანგარიშის და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადების პროცესს.

სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართული არიან სკოლა-გიმნაზიის დირექცია, ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მოსწავლეები/მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელი, თემი. საჭიროების შემთხვევაში, სამუშაო ჯგუფის სხდომებში მონაწილეობის მიღების მიზნით, შესაძლებელია, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის მოწვევა.

სასკოლო საზოგადოების ჩართულობა უზრუნველყოფილია სამუშაო ჯგუფის ფორმატში პროცესების წარმართვით და დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტების პროექტ(ებ)ის გაზიარებით. სკოლა-გიმნაზია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა-გიმნაზიის დირექტორის 2023 წლის 8 სექტემბრის №188 ბრძანებით დამტკიცებულია წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის 2023-2030 წლების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელშიც, პირველ რიგში, შემუშავებულია მეთოდოლოგიის შესაბამისად და მასში განსაზღვრულია ხუთი ძირითადი სტრატეგიული მიზანი: 1. სკოლა-გიმნაზიის ინსტიტუციური განვითარება; 2. ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება; 3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. 4. პედაგოგების პროფესიული ზრდა და განვითარება, 5. პარტნიორული ურთიერთობები. სტრატეგიულ გეგმაში გაწერილია მიზნების შესაბამისი ამოცანები 7 წლის მიხედვით. სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილი მიზნები მიემართება სკოლა-გიმნაზიაში მიმდინარე ძირითადი, სასწავლო პროცესის ინსტიტუციურ და ინფრასტრუქტურული განვითარების მხარდაჭერას, რაც თავსებადია სკოლა-გიმნაზიის მისიასა და ხედვასთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა-გიმნაზიის დირექტორის 2023 წლის 8 სექტემბრის №189 ბრძანებით დამტკიცებულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. იგი შემუშავდა დამტკიცებული სტრატეგიული გეგმის საფუძველზე, შესაბამისი ჩართული პირების მონაწილეობით, როგორც ამას ითვალისწინებს მეთოდოლოგია. ერთწლიან გეგმაში განსაზღვრულია მიზნების შესაბამისი ამოცანები და შესასრულებელი აქტივობები; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს სტრატეგიული მიზნების შესაბამის ამოცანებს და ამ ამოცანების შესაბამის აქტივობებს, შესრულების გაზომვად ინდიკატორებს, განხორციელების ვადებს, პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურულ ერთეულებსა

და შესაბამის რესურსებს. ექსპერტთა მოსაზრებით, გეგმის განხორციელება სავსებით რეალისტურია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის დირექტორის 2023 წლის 8 აგვისტოს №146 ბრძანებით დამტკიცებული სკოლა-გიმნაზიის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
- ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის დირექტორის 2023 წლის 8 სექტემბრის №188 ბრძანებით დამტკიცებული სკოლა-გიმნაზიის 2023-2030 წლების განვითარების სტრატეგიული გეგმა
- ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის დირექტორის 2023 წლის 8 სექტემბრის №189 ბრძანებით დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა-გიმნაზიის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გაწერილია სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება მოხდება წელიწადში ერთჯერ, ივნისის თვეში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ვიზიტის დროს სკოლას მიეცა რჩევა, რომ მიზანშეწონილია, სკოლა-გიმნაზიის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის XII თავის I და II პუნქტების ჩანაწერი სამოქმედო გეგმების მონიტორინგის შესახებ ურთიერთშესაბამისობაში მოვიდეს, კერძოდ, პირველ პუნქტში აღნიშნულია: „სკოლა-გიმნაზია ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ერთჯერ - ივნისში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც“. აშკარაა, რომ შესიტყვებაში „სამოქმედო გეგმები“

იგულისხმება როგორც სტრატეგიული, ასევე ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. ხოლო მეორე პუნქტში ნათქვამია, რომ სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ გამოგზავნა ახალი დოკუმენტი-„წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“ (17.06.2024), რომელშიც აღნიშნული რჩევა გათვალისწინებულია და მეთორმეტე თავის პირველ და მეორე პუნქტები ასეა ჩამოყალიბებული:

„1.სკოლა-გიმნაზია ახორციელებს ერთწლიანი სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ერთჯერ - ივნისში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე.

2. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე.“ დასკვნის პროექტში გამოთქმული რჩევა ამდენად ექსპერტმა ჯგუფმა ადარ შეიტანა საბოლოო დასკვნაში.

2. მეთოდოლოგიის თანახმად, მონიტორინგისთვის სკოლა-გიმნაზია იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს და ასევე სხვა დაინტერესებული პირებისაგან მიღებულ უკუკავშირს. მონიტორინგის დასრულების შემდეგ იწყება შეფასება/ანალიზის პროცესი. მონიტორინგის დროს შეგროვებული ანგარიშები და უკუკავშირი გასაანალიზებლად გადაეცემა სამუშაო ჯგუფს, რომელიც სწავლობს შეგროვებულ ინფორმაციას და წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს. ამაზე დაყრდნობით სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარეს შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში, გააკეთოს ინიცირება სტრატეგიულ ან სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ. სკოლამ წარმოადგინა პედაგოგთა თავმჯდომარისთვის წარდგენილი იმ პირთა შუალედური ანგარიშები, რომლებიც ჩართულნი არიან მონიტორინგის პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი სასწავლო წლის ბოლოს გეგმავს სამოქმედო გეგმისა და სამი წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები წარუდგენოს დირექტორს ანგარიშის სახით. დამტკიცებული ანგარიშები საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით განთავსდება სკოლა-გიმნაზიის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომი გახდება სასკოლო საზოგადოების წევრთა და დაინტერესებულ პირთათვის. სკოლას წარმოდგენილი აქვს წინა სტრატეგიული გეგმის ანგარიში, რომელიც ატვირთულია სკოლის ვებგვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა-გიმნაზიის დირექციის განმარტებით, სკოლა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს ყოველთვის იყენებს დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის. სკოლა-გიმნაზიას გააჩნია სანდო მტკიცებულებები მონიტორინგისა და შეფასების პროცესების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

აიპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის დირექტორის 2023 წლის 8 აგვისტოს №146 ბრძანება სკოლა-გიმნაზიის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა-გიმნაზიის რექტორის 2022 წლის 28 დეკემბრის №244 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლა-გიმნაზიის დებულება, რომელშიც განსაზღვრულია სკოლა-გიმნაზიის სტრუქტურა. იგი მოიცავს დირექციას, პედაგოგიურ საბჭოს, აკადემიურ მრჩეველთა საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, მშობელთა სათათბიროს, დისციპლინურ კომიტეტს, საკვირაო სკოლასა და სხვა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს. სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელი ორგანოა დირექტორი და დირექცია; დირექციაში თანამდებობრივად შედიან: ა) დირექტორი; ბ) დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში; გ) დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში; დ) ხარისხის მართვის მენეჯერი; ე) დირექტორის მოადგილე - კოორდინატორი; ვ) დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში (სამეურნეო ნაწილის გამგე); ზ) მთავარი ბუღალტერი. სკოლა-გიმნაზიის დებულებაში გაწერილია სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, სკოლის ხელმძღვანელია რექტორი, რომელსაც მინდობილობით (03/04/2024) მართვა გადაცემული აქვს დირექტორისთვის.

სკოლამ ასევე წარმოადგინა ცალკე დოკუმენტად სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები, სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელშიც სტრუქტურულ ერთეულებად განსაზღვრულია: ა) დირექცია; ბ) პედაგოგიური საბჭო; გ) საგნობრივი კათედრები დ) აკადემიური მრჩეველთა საბჭო; ე) მოსწავლეთა თვითმმართველობა; ვ) მშობელთა საბჭო; ზ) დისციპლინური კომიტეტი; თ) მრჩეველთა საბჭო; ხოლო დირექციას წარმოადგენენ: ა) დირექტორი; ბ) დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში; დ) ხარისხის მართვის მენეჯერი; ე) დირექტორის მოადგილე - კოორდინატორი; ვ) დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში (სამეურნეო ნაწილის გამგე); ზ) მთავარი ბუღალტერი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია, სკოლა-გიმნაზიამ თავის დებულებაში ასახოს მხოლოდ მმართველობითი საკითხები და პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები, ხოლო შინაგანაწესში-სასწავლო პროცესებთან, ქცევასთან და შრომითი ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები

2. სკოლა-გიმნაზიის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს ხარისხიანი საგანმანათლებლო სივრცის შექმნას. დელეგირებულია თითოეული რგოლის ფუნქცია. თითოეული სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი არის ლიდერი და კოორდინაციაშია მთლიან გუნდთან, რაც აუმჯობესებს სასკოლო ცხოვრებას, ამაღლებს უსაფრთხოებას, უზრუნველყოფს ხარისხიან განათლებას და აყალიბებს საუკეთესო სასკოლო კულტურას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ააიპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის რექტორის 2022 წლის 28 დეკემბრის №244 ბრძანებით დამტკიცებული სკოლა-გიმნაზიის დებულება
- ააიპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის დირექტორის 2023 წლის 25 დეკემბრის №250 ბრძანება სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები, სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა-გიმნაზიაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, სკოლა-გიმნაზიის დირექტორის 2023 წლის 5 ოქტომბრის №206 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის-და სკოლა-გიმნაზიის დირექტორის 2022 წლის 28 დეკემბრის №245 ბრძანებით დამტკიცებული- შინაგანაწესის - შესაბამისად.

დოკუმენტები აწესრიგებს შემდეგ საკითხებს: ადამიანური რესურსების ორგანიზება/დაგეგმვა, ადამიანური რესურსების ორგანიზაციაში შემოსვლა; ადამიანური რესურსების სამუშაოს მართვა; ადამიანური რესურსების ორგანიზაციიდან გასვლა. სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემულ ბრძანებათა თანამშრომლებამდე დაყვანის წესი; დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები და სხვა. სკოლა-გიმნაზია პერსონალის მართვის პროცესების წარმართვისას ხელმძღვანელობს მოცემული ნორმებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა-გიმნაზია სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით მიმართავს პრევენციულ და ინტერვენციულ ღონისძიებებს. კერძოდ, მასწავლებლის სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დირექცია ანაცვლებს მას იმავე საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებლით და ხდება საგაკვეთილო ცხრილის მოდიფიცირება. ამავდროულად, შინაგანაწესის მე-8 მუხლსა და საგნისა და გახანგრძლივებულის მასწავლებლების ხელშეკრულებებში გაწერილია, რომ ისინი ვალდებული არიან დირექციის მოთხოვნის შემთხვევაში, ჩაატარონ სხვისი გაკვეთილი. სკოლამ წარმოადგინა ჩანაცვლების ამსახველი დოკუმენტაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პერსონალის მოზიდვა ხორციელდება „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა ბრძანების შესაბამისად ჩატარებული საკონკურსო კომისიის ოქმები. ვიზიტისას, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, გადამოწმდა მასწავლებლების დასაქმებასთან დაკავშირებული

საქმისწარმოება, კერძოდ. ბრძანებები ვაკანსიის გამოცხადების, საკონკურსო კომისიის განსაზღვრის შესახებ, საკონკურსო კომისიის ოქმი. წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ სკოლის პერსონალს სრულად ჰქონდა წარმოდგენილი საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ (მუხლი 33¹-ით პერსონალისათვის დადგენილი შეზღუდვა) განსაზღვრული ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის №463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ“, ასევე ცნობა ნასამართლობის შესახებ მასწავლებლების შემთხვევაში (საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 21). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა-გიმნაზიას „სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები, სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნებში“ განსაზღვრული აქვს დირექციის წევრების, დამხმარე სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მასწავლებელთა შერჩევისას ხელმძღვანელობს 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ შესაბამისად.

სკოლაში მუშაობს 41 უფროსი მასწავლებელი, აქედან 9 - წამყვანი, 1- მენტორი. გარდა ამისა, სკოლას ჰყავს 2 მაძიებელი, რომლებიც სწავლობენ 60-კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამებზე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მათ 2-წლიან ხელშეკრულებებში აღნიშნულია, რომ ვალდებული არიან, გაიარონ ან მაძიებლობის პროგრამა ან 60-კრედიტიანი პროგრამა. პერსონალის კვალიფიკაცია აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს. სკოლის ექიმს აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დადგენილი კვალიფიკაცია-ოჯახის ექიმი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა-გიმნაზიის მიერ წარმოდგენილი მასწავლებლის შერჩევის პროცედურა (კომისიის შექმნა გასაუბრება, გადაწყვეტილების მიღება), პედაგოგიური საბჭოს და კათედრების ოქმები, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სკოლის ფილოსოფიის გადახედვა/შემუშავება ნათელი მაგალითია იმისა, რომ სკოლაში დამკვიდრებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპები. სკოლაში არის გაზიარებული ლიდერობა და სკოლის მართვა ხორციელდება უფლებამოსილების დელეგირების და თანამონაწილეობითი მართვის პრინციპებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. შინაგანაწესის 37-ე მუხლში აღნიშნულია, რომ პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ანდა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისთვის ანდა დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ანდა მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისთვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ანდა საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა-გიმნაზია უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებები, რომლებითაც თანამშრომლებს სასკოლო ღონისძიებების მომზადებასა და მაღალ დონეზე ჩატარებისათვის გამოეცხადათ მადლობა და გადაეცათ ერთჯერადი ფულადი პრემია. **ინდიკატორია დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლა-გიმნაზიის დირექტორის 2023 წლის 5 ოქტომბრის №206 ბრძანებით დამტკიცებული-ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- სკოლა-გიმნაზიის დირექტორის 2022 წლის 28 დეკემბრის №245 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესის
- სკოლა-გიმნაზიის მასწავლებელთა ხელშეკრულებები
- გაკვეთილების ჩანაცვლების ამსახველი დოკუმენტაცია.
- პერსონალის შერჩევის საკონკურსო ოქმები
- ბრძანებები ვაკანსიის გამოცხადების, საკონკურსო კომისიის განსაზღვრის შესახებ
- პერსონალის პირადი საქმეები
- სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები, სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი
- პედაგოგიური საბჭოსა და კათედრების ოქმები
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია და მისი განხორციელების ამსახველი დოკუმენტაცია

- მისიისა და ხედვის, სტრატეგიული და განვითარების გეგმების შემუშავება/გადახედვის მეთოდოლოგია და მისი განხორციელების ამსახველი დოკუმენტაცია
- სკოლის ფილოსოფიის გადახედვა/შემუშავება
- ბრძანებები თანამშრომელთა წახალისებისა და მადლობის გამოცხადების შესახებ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა-გიმნაზიაში პერსონალის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები გაწერილია „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ მე-19 და მე-20 მუხლებში, ასევე დირექტორის 2022 წლის 14 სექტემბრის №203 ბრძანებით დამტკიცებულ „ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების პროგრამაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ საჭიროებების გამოვლენა

შესაძლებელია თანამშრომელთა შეფასების ფორმებისა და ე.წ. „სვოტ“ (SWOT) ანალიზის საფუძველზე. სკოლა-გიმნაზიაში ასევე ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფიც.

რომლის დებულება დამტკიცებულია სკოლა-გიმნაზიის დირექტორის 2020 წლის 8 დეკემბრის №243 ბრძანებით. ჯგუფში შედიან დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, საგნობრივი მასწავლებლები. ჯგუფის მიზანია დააკვირდეს საგაკვეთილებს, გააკეთოს განმავითარებელი უკუკავშირი და დაადგინოს საჭიროებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მასალებიდან ჩანს, რომ სკოლა-გიმნაზია ავლენს მასწავლებელთა საჭიროებებს, ამის საფუძველზე დირექცია ადგენს განვითარების გეგმას, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა დროში სხვადასხვა აქტივობის განხორციელებას, მაგალითად: კათედრაზე წარმატებული პრაქტიკის გაზიარებას, კათედრებს შორის ურთიერთთანამშრომლობას, ასევე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული ტრენინგებში მასწავლებელთა მონაწილეობას, უნივერსიტეტებთან და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობას.

მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა-გიმნაზიამ მონაწილეობა მიიღო ავტორიზაციის სიმულაციური შეფასების პროცესში. ამ პროცესში გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე სკოლა-გიმნაზიის დაფინანსებით საგნის მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგები საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების საკითხთან დაკავშირებით.

2022 წლის ოქტომბერში სკოლა-გიმნაზიაში დაინერგა საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების HACCP-ის სისტემა. ამ სისტემის ფარგლებში მოსამზადებელი კურსებით გადამზადდა 7 თანამშრომელი: დირექტორი, დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში, ექიმი, მზარეულები, დამლაგებლები. ასევე კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგი გაიარა სკოლა-გიმნაზიის ექთანმა. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა მოსამზადებელი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

2023 წლის ნოემბერში დირექტორმა გაიარა ტეხასის უნივერსიტეტის განათლების ლიდერობის კვლევის ცენტრის ტრენინგ-პროგრამა-„საგანმანათლებლო ლიდერობის ჩარჩო“, რომლის ორგანიზატორი იყო გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი.

მიმდინარე სასწავლო წლის ოქტომბერში სკოლა-გიმნაზიის პერსონალს ჩაუტარდა ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი.

2024 წლის იანვარში სკოლა-გიმნაზიის ბიბლიოთეკარმა გაიარა ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის განვითარების ფონდის მიერ ორგანიზებული ტრენინგი სკოლის ბიბლიოთეკარებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა-გიმნაზია ხელს უწყობს მასწავლებლების კარიერულ ზრდას. ამ მიზნით საჭიროა მასწავლებელმა ჩააბაროს პროფესიული უნარების გამოცდა და იზრუნოს პროფესიული საქაღალდის შექმნაზე. სწორედ საქაღალდეში განსათავსებული დოკუმენტაციის შესაბამისი აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში ეხმარება სკოლა-გიმნაზია მასწავლებლებს. სკოლა-გიმნაზიას ჰყავს 2 მაძიებელი მასწავლებელი და კათედრის გამოცდილი მასწავლებლები ეხმარებიან მათ პროფესიულ ზრდაში კარიერული წინსვლისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



4. ახალი კადრების მიღებისას სკოლა ხელმძღვანელობს „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტით. პირველ რიგში, ახალ კადრებს აცნობს შინაგანაწესს და სკოლა-გიმნაზიაში დამკვიდრებულ სასკოლო კულტურას. ახალ სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით მთლიანად გუნდი და განსაკუთრებით კათედრის წევრები ცდილობენ ახალი თანამშრომლის კოლექტივში ინტეგრირებას, ეხმარებიან მათ შესაძლო სირთულეების დაძლევისა და საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენაში. სკოლა-გიმნაზიის დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში არის სასულიერო პირი, მოძღვარი, რომელიც აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში და განსაკუთრებით ზრუნავს ახალი წევრების გუნდში სრულუფლებიან წევრებად შემოსვლაზე. სოციალიზაციისთვის სკოლა-გიმნაზია ახორციელებს შემდეგ პროცედურებს: ა) „პირველი შეხვედრა ორგანიზაციასთან“-თანამშრომლებთან პირველი შეხვედრის საგანგებო ორგანიზება, პირველ სამუშაო დღეს განსაკუთრებული დახვედრით; ბ) თანამშრომლების გაცნობა; გ) სკოლა-გიმნაზიის ორგანიზაციული კულტურის, რიტუალების გაცნობა, სკოლის დათვალიერება, შიდა ნორმებისა და რეგულაციების გაცნობა, თანამშრომლების საკონტაქტო ინფორმაციის, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის არსებული ალტერნატიული გზების (მაგალითად, დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში) შესახებ ინფორმაციის მიწოდება და ა.შ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა-გიმნაზია ახალისებს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს, როგორიცაა: პროექტის განხორციელება, ტრენინგის ჩატარება, კონფერენციის მოწყობა, ღონისძიების დაგეგმვა და ჩატარება, სამოძრაო გაკვეთილის ჩატარება. სკოლა-გიმნაზიას შინაგანაწესში გაწერილი აქვს წახალისების მექანიზმები და ფორმები, რომელიც ეფუძნება სამართლიანობის პრინციპს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესი
- სკოლა-გიმნაზიის დირექტორის 2022 წლის 14 სექტემბრის №203 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების პროგრამა“
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მასალები
- კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით თანამშრომელთა მიერ სხვადასხვა ტრენინგსა თუ პროექტში მონაწილეობის ამსახველი დოკუმენტაცია
- სკოლა-გიმნაზიის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა-გიმნაზიის დირექტორის 2017 წლის 11 სექტემბრის №207 ბრძანებით დამტკიცებულია „შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც მოიცავს: დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებას, ინტერვენციას, ინტერვენციის შედეგებზე დაკვირვებას, შემდგომი საჭიროებების დადგენას და ა. შ. უწყვეტი გაუმჯობესებისკენ მიმართულ პროცესს. სკოლა-გიმნაზიის შიდა კონტროლს ახორციელებს ხარისხის მართვის სამსახური. მისი მიზანია სკოლა-გიმნაზიის საგანმანათლებლო საქმიანობის სრულყოფა და განვითარება.

ხარისხის მართვის მენეჯერი ხელმძღვანელობს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებას, გეგმავს სასწავლო პროცესის შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესს და ზედამხედველობას უწევს შიდა მონიტორინგის ჯგუფის მეშვეობით;

ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ცხადყოფს, რომ იგი სისტემატურად აწარმოებს სკოლა-გიმნაზიაში სასწავლო პროცესზე და ყველა რგოლის მუშაობაზე დაკვირვებას; ატარებს გამოკითხვებს ცალკეული რგოლის მუშაობის ხარისხის შესამოწმებლად; შეისწავლის მოსწავლეთა და მათი მშობლების, თანამშრომლების პრობლემებსა და რეკომენდაციებს; ამოწმებს სწავლა/სწავლების ხარისხს. ხარისხის მართვის მენეჯერი ყოველი სემესტრის დაწყებამდე კვლევის შედეგად ადგენს საჭიროებებს და

შეიმუშავენ მნიშვნელოვან სემესტრში განსახორციელებელი აქტივობების გეგმას, რომელსაც წარუდგენს დირექტორს. ხარისხის მართვის მენეჯერი აფასებს შემდეგ სფეროებს: სადამრიგებლო პროგრამის ეფექტური მუშაობა; კათედრების მუშაობა; მასწავლებლების მიერ პორტფოლიოს წარმოება; ელექტრონული ჟურნალების წარმოება; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მომსახურების ხარისხი; შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების თემატიკის, ფორმისა და გრაფიკის შესაბამისობა სასკოლო სასწავლო გეგმასთან; მოსწავლეთა დაგვიანებასა და გაცდენებს. შუალედური და ფინალური ტესტირებების დინამიკაში შეფასებასა და მისგან გამომდინარე, შედეგების ანალიზს; პედაგოგების შეფასებას; მშობელთა ჩართულობას; გახანგრძლივებული დღის ჯგუფში გაკვეთილების მომზადების ხარისხს;

სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერმა წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის პირველ სემესტრში მის მიერ შესრულებული სამუშაოს ანგარიში. სამოქმედო გეგმის მიხედვით, სკოლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია სწავლება-სწავლის ხარისხის მონიტორინგი. სკოლის სამიზნე ჯგუფი იყო XII კლასი. ჩატარდა მოდელირებული ეროვნული გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ინგლისურ ენაში, მათემატიკასა და ისტორიაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა-გიმნაზია საგანმანათლებლო საქმიანობისთვის ახორციელებს მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს. პროცესები იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლა-გიმნაზიის დირექტორის 2024 წლის 5 მაისის №2.28 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში-სკოლა-გიმნაზიის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები (მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე). დოკუმენტის მიხედვით, მმართველობითი პროცესებია: ა) სტრატეგიული დაგეგმვა, ბ) წლიური დაგეგმვა, გ) ხარისხის უზრუნველყოფა; ძირითადი პროცესებია: ა) კურიკულუმის განვითარება, ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა; დამხმარე პროცესებია: ა) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება ბ) მოსწავლის სერვისების განხორციელება გ) საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება დ) ფინანსური რესურსების მართვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა-გიმნაზიაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომლის დებულება დამტკიცებულია სკოლა-გიმნაზიის დირექტორის 2023 წლის 20 აპრილის №38 ბრძანებით. დებულების თანახმად, კომიტეტი თვითმმართველობის ორგანოა, რომელიც განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს, იღებს გადაწყვეტილებებს დისციპლინური სახდელების შესახებ. სასკოლო გარემოს გაუმჯობესებისთვის. დისციპლინური კომიტეტის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება 9 წევრით: 2 მასწავლებელი, 2 მშობელი, 2 მესამე საფეხურის მოსწავლე, 1 ფსიქოლოგი, 2 მოძღვარი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები გაწერილია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმებსა და სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესში. სკოლა-გიმნაზიაში ფუნქციონირებს ასევე მრჩეველთა საბჭო, რომელიც პერიოდულად აწვობს საინფორმაციო შეხვედრებს და დისციპლინური კომიტეტი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს. სკოლა-გიმნაზიას ჰყავს ფსიქოლოგი და მოძღვარი, რომლებიც უფროსკლასელებთან ერთად რეგულარულად ატარებენ საინფორმაციო და საგანმანათლებლო

შეხვედრებსა და სემინარებს უფლებების, მოვალეობების, კონფლიქტების მართვასა და ბულინგის თემაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლა-გიმნაზიის დირექტორის 2017 წლის 11 სექტემბრის №207 ბრძანებით დამტკიცებულია „შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“
- ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიში
- სკოლა-გიმნაზიის დირექტორის 2024 წლის 5 მაისის №2.28 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები
- სკოლა-გიმნაზიის დირექტორის 2023 წლის 20 აპრილის №38 ბრძანებით დამტკიცებული დისციპლინური კომიტეტის დებულება
- სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა-გიმნაზიაში დირექტორის 2023 წლის 5 ოქტომბრის №208 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“.

სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის იყენებს ვებგვერდს, სოციალურ გვერდს, ელექტრონულ ჟურნალს, საინფორმაციო დაფას, მშობელთა კრებებს, დამრიგებლების მიერ შექმნილ მშობელთა დახურულ სოციალურ ჯგუფებს. ამ სივრცეების საშუალებით სკოლა-გიმნაზია იღებს უკუკავშირს და იყენებს მას შემდგომი რეაგირებისთვის. სკოლას განსაზღვრული ჰყავს თითოეული საშუალების მოხმარებაზე პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა-გიმნაზია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს აძლევს საშუალებას მონაწილეობა მიიღოს სასკოლო ცხოვრებასა და მართვაში კოლეგიალური ორგანოების მუშაობაში ჩართვით. მშობელთა სათათბიროს არსებობა ხელს უწყობს მშობლების ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში, უშუალოდ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებასა და რეალიზებაში. მშობელი მოსწავლესთან ერთად ჩართულია სკოლა-გიმნაზიის სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფში. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო ცხოვრებაში, ჩართულები არიან მოსწავლეთა თვითმმართველობისა და მისი ინიციატივით შექმნილი კლუბების მუშაობაში.



ყველა პრინციპული გადაწყვეტილება მიიღება პედაგოგიური საბჭოს მონაწილეობით, ასევე საგნობრივი კათედრები, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი მათთვის განსაზღვრული ფუნქციების ფარგლებში მონაწილეობენ სასკოლო ცხოვრებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთა კრებების ოქმები;
- პედსაბჭოს ოქმები
- მშობელთა სათათბიროს ოქმები
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები
- სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის ოქმები
- სკოლა-გიმნაზიაში დირექტორის 2023 წლის 5 ოქტომბრის №208 ბრძანებით დამტკიცებული „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ -

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა, რისთვისაც სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია უსაფრთხოების დაცვის სამსახური და დირექცია. სკოლა-გიმნაზიის შენობა აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეოსათვალთვალო სისტემით. სკოლა-გიმნაზიას აქვს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც არეგულირებს სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უცხო პირთა გადაადგილებას; ვიდეოსათვალთვალო სისტემაში ასახული ინფორმაციის შემკრები მონიტორი განთავსებულია იზოლირებულ, დაცულ სივრცეში და გამოყოფილია ვიდეოსათვალთვალო სისტემის ადმინისტრირებასა და გამოყენებაზე პასუხისმგებელი პირი. უსაფრთხოების დაცვის თანამშრომლები სისტემატურად ასრულებენ სკოლა-გიმნაზიის პერიმეტრის არადისტანციურ დათვალიერებას. უსაფრთხოების დაცვის თანამშრომელი მუდმივად აკონტროლებს შენობაში შესასვლელ კარს.

სკოლა-გიმნაზიამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს 2024 წლის 23 იანვრის წერილი, რომელშიც აღნიშნულია: „2024 წლის 16 იანვრის №5 აქტის შესაბამისად დგინდება, რომ სკოლის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს“. სკოლა-გიმნაზიას გამოყოფილი ჰყავს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განთავსებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა. ასევე დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო სასიგნალო სისტემა;

სკოლის დირექტორის 2022 წლის 28 დეკემბრის №241 ბრძანებით დამტკიცებულია საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია შსს სსდ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (MIA 2 23 03695252; 15/12/2023). საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შემუშავებულია სკოლა-გიმნაზიის საგანგებო შტაბის წევრების მიერ.



სკოლამ წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ 2024 წლის 26 იანვარს გაცემული ექსპერტის დასკვნა №000458524, რომელშიც აღნიშნულია, რომ სკოლის შენობა არის სამსართულიანი, მისი ტექნიკური მდგომარეობა არის დამაკმაყოფილებელი და მისი ექსპლუატაცია უსაფრთხოა, თუმცა, შენობა ტექნიკური პასპორტის მიხედვით მოიცავს სამ სართულს და ასევე მანსარდას, სადაც სკოლას აქვს 4 ოთახი. აღსანიშნავია, რომ სკოლა-გიმნაზიამ წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში გაგზავნილი დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავდა შენობის ტექნიკურ პასპორტსაც.

ვიზიტის დროს სკოლას მიეცა რჩევა, განეხილებინა ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მანსარდაც. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ გამოაგზავნა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 4 ივნისის დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია: „№000458524 ექსპერტის დასკვნით კვლევით ნაწილში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი, მეორე აბზაცის პირველი წინადადება ნაცვლად- „შენობა არის სამსართულიანი“-უნდა იკითხებოდეს- „შენობა არის სამსართულიანი მანსარდით. აღნიშნული წერილი წარმოადგენს №000458524 ექსპერტის დასკვნის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მასთან ერთად“. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა-გიმნაზიაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და მათი სრულყოფილი განვითარებისათვის ფუნქციონირებს შესაბამისი სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით განსაზღვრული ინვენტარით, პირველადი დახმარების საშუალებებითა და მედიკამენტებით. სკოლა-გიმნაზიის დირექტორის 2022 წლის 28 დეკემბრის №247 ბრძანებით დამტკიცებულია სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირების დებულება, რომელიც თანხვედრაშია აღნიშნულ ბრძანებასთან. სკოლა-გიმნაზიას ემსახურება სკოლის ექთანი და ექიმი. სკოლის ექიმი, ხელშეკრულების თანახმად, სკოლაში ცხადდება კვირაში ორი დღე და რჩება სასწავლო პროცესის დაწყებიდან დასრულებამდე. ხოლო ექთანი მუდმივად იმყოფება ადგილზე. იგი სკოლაში **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, სკოლა-გიმნაზიაში დირექტორის 2020 წლის 6 ნოემბრის №236 ბრძანებით დამტკიცებულია „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“. წესი შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან 2020 წლის 5 ნოემბრის MES 22000010070034 წერილით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა-გიმნაზიაში მუშაობს ფსიქოლოგი, სკოლა-გიმნაზიის მოძღვარი და დამრიგებლები. ფსიქოლოგი სისტემატურად აკვირდება მოსწავლეებს, საჭიროების შემთხვევაში, მუშაობს მათთან. დამრიგებლები უწყვეტად მუშაობენ მოსწავლეების სწორი ქცევითი ჩვევების განვითარებაზე ფსიქოლოგთან ერთად. მოძღვრი მონაწილეობს მოზარდების ფსიქო-ემოციური მდგომარეობის ჩამოყალიბებაში. სკოლა-გიმნაზია გამოირჩევა ფსიქოლოგიური უსაფრთხო გარემოთი, რაც გამოვლინდა მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა-გიმნაზიაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, რასაც უზრუნველყოფს სამეურნეო განყოფილება. სკოლა-გიმნაზიის დირექტორის 2022 წლის 28 დეკემბრის 248 ბრძანებით დამტკიცებულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი. სკოლა-გიმნაზიას ემსახურება 4 დამლაგებელი, რომლებიც ასუფთავებენ სკოლა-გიმნაზიის შიდა პერიმეტრს, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესის შესაბამისად. სკოლა-გიმნაზიის სატრაპეზოს ალაგებს დამხმარე პერსონალი. ეზოსა და გარე სივრცეს ასუფთავებს მეეზოვე. სკოლა-გიმნაზიაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას აკონტროლებს სკოლა-გიმნაზიის ექიმი.

სკოლა-გიმნაზიაში არსებობს ცალ-ცალკე სანიტარული კვანძები გოგონებისთვის და ვაჟებისთვის. პედაგოგებისთვის და სხვა პერსონალისთვის არსებობს სანიტარული კვანძი დამოუკიდებელი შესასვლელით ქალებისა და მამაკაცებისათვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით, კონკრეტულად: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი (უკონტაქტო). სასმელი წყლით მოსწავლეთა უზრუნველყოფა ხდება წყლის დისპენსერებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლა-გიმნაზია უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას პერსონალური მონაცემების დაცვის წესის შესაბამისად. საქმისმწარმოებელს, მასწავლებლებს, დამრიგებლებს, რომლებსაც წვდომა აქვთ მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებთან, აქვთ სათანადო კომპეტენცია და იცავენ პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესებს. ნებისმიერი ინფორმაციის სკოლა-გიმნაზიის ვებგვერდზე ან სოციალურ გვერდზე განთავსება ხდება მშობლის თანხმობის საფუძველზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლა-გიმნაზია იცავს მოსწავლე/მასწავლებელი/მშობლის მონაცემებს. სკოლა-გიმნაზიის დირექტორის 2023 წლის 20 აპრილის №37 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი“, რომლის თანახმად, საქმისმწარმოებელი, მასწავლებელი, დამრიგებელი, დირექციის წარმომადგენლები, რომელთაც ამ მონაცემებთან აქვთ წვდომა, იცავენ წესებს ინფორმაციის დაცვის მექანიზმების შესაბამისად. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ მონაცემები, ინფორმაცია მოსწავლის ჯანმრთელობის შესახებ, მოსწავლის სპეციალური საჭიროების შესახებ სრულად არის დაცული. წინა წლის მატერიალური მასალები ინახება არქივში და მათთან წვდომა აქვს მხოლოდ საქმისმწარმოებელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

8. სკოლა-გიმნაზიის დირექტორის 2023 წლის 5 ოქტომბრის №205 ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმები. უსაფრთხოების ფუნქციონირების პერიოდული შეფასებისთვის იყენებს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ფორმებს, დაკვირვების სტრუქტურირებულ მექანიზმებს. ამ პროცესს სისტემური ხასიათი აქვს შედეგების ანალიზზე დაყრდნობით ახდენს შემდგომ რეაგირებას საჭირო ცვლილებების განხორციელების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა



- შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები
- საქმისწარმოების წესი.
- ადამიანისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოცო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საჯარო რეესტრის ამონაწერით (საკადასტრო კოდი №44.01.28.103, 25/01/2024), სკოლა-გიმნაზია მდებარეობს ქ. სენაკში,

რუსთაველის ქ.№116 მდებარე სამსართულიან მანსარდიან შენობაში, რომლის მესაკუთრეა სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია, ხოლო სკოლა-გიმნაზია არის უზუფრუქტუარი 49 წლით. აღნიშნული საკადასტრო კოდით განსაზღვრულ მიწის 5033 კვ.მ. ფართობზე განლაგებულია ორი შენობა: საგანმანათლებლო დაწესებულება-2257 კვ.მ. (აქედან მანსარდის ფართი - 328.81 კვ.მ.) და ეკლესია- 114.76 კვ.მ. სკოლა-გიმნაზიის შენობაში განთავსებულია 28 საკლასო ოთახი. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება, აღჭურვილია მერხებითა და სკამებით. სკოლის სამ სართულზე არის 20 საკლასო ოთახი, 1 რესურსოთახი, 4 ოთახი კლასის განაყოფებისათვის, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, დირექციის ოთახები, სპორტული დარბაზი გასახდელებით, სატრაპეზო, ფსიქოლოგისა და მოძღვრის ოთახები, ექიმის კაბინეტი. მანსარდაში - 2 საკლასო ოთახი და 2 კაბინეტი. ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილები მოსწავლე გოგონებისა და ბიჭებისათვის, ასევე პერსონალისათვის.

სკოლა-გიმნაზიის მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლება დასტურდება წერილობითი მტკიცებულებებით.

საინვენტარო აღწერის ჟურნალის მიხედვით, სკოლა-გიმნაზიის ბალანსზე ირიცხება 569 ინდივიდუალური მერხი სკამით, 39 პერსონალური კომპიუტერი და ლეპტოპი, რომლებსაც აქვს ინტერნეტთან წვდომა, 2 მონიტორი, 2 პროექტორი, 10 პრინტერი, დაწყებით კლასები აღჭურვილია SMART ტელევიზორებით. სკოლის ბიბლიოთეკაში, რომელიც შედგება 5772 წიგნადი ფონდისაგან, განთავსებულია ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები და ინტერაქტიული დაფა. მუსიკის კაბინეტში განთავსებულია ელექტრონული პიანინო (იამაჰა), მუსიკალური ცენტრი და ლეპტოპი; ასევე სკოლა-გიმნაზიას ღონისძიებების ჩასატარებლად გააჩნია 2 მიქშერი, ხმის გამაძლიერებლები და მიკრიფონები. სატრაპეზო და ბუფეტი აღჭურვილია ასაკის შესაბამისი ავეჯით, ხოლო სამზარეულო კი-პროფესიონალური დანადგარებით. სკოლა-გიმნაზიის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი აკმაყოფილებს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო მოთხოვნებს, უზრუნველყოფს მისიით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა-გიმნაზიის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის: მოძღვრის ოთახი, დაცვის ოთახი, ბიბლიოთეკით, რესურსოთახით, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით, სპორტული დარბაზით სარგებლობის ხელმისაწვდომობის გარდა, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებისთვის სკოლა-გიმნაზიაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები (დერეფანი, ეზო და სხვა) სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, იგი შედგება ორი სივრცისგან: საცავი და სამკითხველო დარბაზი. სკოლა-გიმნაზიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სკოლის ბიბლიოთეკაში 5772 წიგნია, განთავსებულია სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგნის სახელმძღვანელოს თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები და ინტერაქტიული



დაფა, პროექტორი. სკოლას სარგებლობს openbibio-ს მომსახურებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა-გიმნაზიის ინფრასტრუქტურა იძლევა ინკლუზიური გარემოს შექმნის საშუალებას. მთავარ შემოსასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი. სკოლა-გიმნაზიის შენობის ორ მხარეს აქვს სართულებზე ასასვლელი კიბეებზე, მათგან ერთზე დამონტაჟებულია პანდუსები, რაც სსსმ მოსწავლეს აძლევს საშუალებას თავისუფლად გადაადგილდეს მთელი შენობის პერიმეტრზე. პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი და სატრაპეზო, რაც შეეხება ადაპტირებულ სველ წერტილს, ვიზიტის დროს სკოლას იგი მოწყობილი ჰქონდა პირველ სართულზე, მაგრამ შესასვლილი კარი იყო საკმაოდ ვიწრო, რომლითაც სველ წერტილში შესვლა ეტლით მოსარგებლე პირისთვის შეუძლებელი იყო. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა ფოტოები, რომლებშიც ნათლად ჩანს, რომ ინკლუზიური მოსწავლისთვის განკუთვნილ სველ წერტილში თავისუფლად არის შესაძლებელი ეტლით მოსარგებლისთვის შესვლა. ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორის შეფასება შეცვალა შეფასებით: **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა-გიმნაზიას აქვს სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა და რეკრიაციული სივრცე. სპორტულ დარბაზში ასევე ტარდება ქართული ცეკვის გაკვეთილები, მხიარული თამაშები-მხიარული სტარტები, მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ დაგეგმილი სპორტული ფესტივალები, სასკოლო ბიბლიოთეკაში იმართება სხვადასხვა ტიპის აქტივობები: ლიტერატურული საღამოები, ინტელექტუალური თამაშები-რა?სად?როდის? კლუბების სამუშაო შეხვედრები, მოსწავლეთა სასწავლო კონფერენციები, შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან. სარეკრიაციო ზონაში ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა ყოველწლიურად ატარებს საშემოდგომო და საგაზაფხულო ფესტივალებს, მოსწავლეთა ნახატებისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვებს, ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილ კონცერტს. აქედან გამომდინარე სკოლა-გიმნაზიის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოცო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა-გიმნაზიას აქვს გამართული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა. ოპტიკურ-ბოჭკოვანი უსადენო ინტერნეტი მოიცავს მთელ შენობას. დირექციას, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ინტერნეტით სარგებლობა შეუძლიათ შენობის ნებისმიერ სივრცეში. კომპიუტერული ტექნიკა განთავსებულია როგორც დირექციის ოთახებში, ასევე სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკაში, რესურსოთახში, მუსიკის კაბინეტში, სამედიცინო კაბინეტში. კომპიუტერები და ლეპტოპები განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ასევე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში. სკოლა-გიმნაზიას შეძენილი აქვს პროექტორები, რომლებსაც მასწავლებლები და მოსწავლეები იყენებენ პროექტებზე მუშაობისას და პრეზენტაციების გასაკეთებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობა მოსწავლეებს შეუძლიათ სასკოლო დროის ნებისმიერ მონაკვეთში, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 09:00-18:00 სთ პერიოდში. სკოლას შემუშავებული აქვს ლაბორატორიებით სარგებლობის წესი. შაბათ-კვირას კომპიუტერულ და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებში მუშაობს STEM წრე და ქიმიის წრე 12:00-18:00 სთ პერიოდში. IT ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული და ქსელური მოწყობილობებით და გამიზნულია სასწავლო პროცესში მოსწავლეებისთვის თეორიული ცოდნის მიღებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისთვის. ასევე, IT ლაბორატორია პედაგოგებს ეხმარება მათი საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის; IT ლაბორატორია გამიზნულია საგაკვეთილო, სადემონსტრაციო და კვლევითი მუშაობისთვის; კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული და ქსელური მოწყობილობებით და გამიზნულია სასწავლო პროცესში მოსწავლეებისთვის თეორიული ცოდნის მიღებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისთვის. ასევე, კომპიუტერული ლაბორატორია პედაგოგებს ეხმარება მათი საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის; ბიბლიოთეკაში არის 2 კომპიუტერი, რაც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს აძლევს საშუალებას მუშაობისა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხელშეკრულება სილქნეტთან

- სკოლა-გიმნაზიის დირექტორის 2016 წლის 25 დეკემბრის №257 ბრძანება სკოლა გიმნაზიაშია ლაბორატორიებით სარგებლობის წესის თაობაზე

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა-გიმნაზიაში დირექტორის 2022 წლის 28 დეკემბრის №246 ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს დაწესებულებაში საქმისწარმოება, კერძოდ, შემოსული დოკუმენტაციის (წერილი, მოთხოვნა–დასტური, მიმართვა) აღრიცხვა; გასული დოკუმენტაციის (წერილი, ცნობა, მოთხოვნა–დასტური, მიმართვა) აღრიცხვა; შიდა დოკუმენტაციის (სამსახურეობრივი ბარათი, ახსნა–განმარტება, ბრძანება, ბრძანების ამონაწერი, პედაგოგიური საბჭოს ოქმები, ხელშეკრულებები, მემორანდუმები) აღრიცხვა; მოსწავლეებისა და თანამშრომლების პირადი საქმეების წარმოება. დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები დანომრილია, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძულია, მათი სანდოობა და მთლიანობა არის უზრუნველყოფილი. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლა-გიმნაზიის მართვაში გამოიყენება აქვს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „სქულ მენეჯმენტ სისტემასთან“. მომსახურება მოიცავს სხვადასხვა მოდულს, მათ შორის სკოლის მართვის ელექტრონულ სისტემას SchoolBook-საც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლა-გიმნაზიას აქვს საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
4. სკოლა თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან საგანმანათლებლო რესურსცენტრის გავლით და მისი დახმარებით ამყარებს კომუნიკაციას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და მის დაქვემდებარებაში მყოფ სიპებთან შესაბამისი ნებართვების მოპოვების თუ გარკვეული საკითხების შესათანხმებლად. სკოლა ყოველწლიურად წარუდგენს ინფორმაციას საგანმანათლებლო რესურსცენტრს

მიღებული ვაუჩერული დაფინანსების დახარჯვასთან დაკავშირებით. გარდა აღნიშნულისა, სკოლა ყოველწლიურად აკეთებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას ბუღალტური აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - <https://saras.gov.ge/> წარსადგენად და ყოველთვიურად შემოსავლების სამსახურში წარადგენს შესაბამის საგადასახადო დეკლარაციებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- ემისზე განთავსებული ინფორმაცია
- დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა-გიმნაზიას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი, რომელიც არეგულირებს ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვას, სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებას, პასუხისმგებელი პირისა და პროცესში მონაწილე პირთა



ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს. სკოლა-გიმნაზია საზოგადოებას ინფორმაციას აწვდის და კომუნიკაციას ამყარებს ოფიციალური ვებგვერდისა და სოციალური ქსელის გვერდის მეშვეობით. მათი მეშვეობით საზოგადოება ეცნობა სასკოლო ცხოვრების მიმდინარე სიახლეებსა და აქტივობებს. ინფორმაციის განთავსებისას დაცულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები. ვებგვერდსა და სოციალური ქსელის ოფიციალურ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია არის სანდო და გადამოწმებული, რადგან გამოხატავს სკოლა-გიმნაზიის პოზიციას. სკოლას დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ვებგვერდის მართვასა და სოციალური ქსელის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა-გიმნაზიის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების, აქტივობების, მიღწევების, ჯილდოების, საერთაშორისო თუ ქვეყნის შიდა პარტნიორობის, სხვადასხვა ორგანიზაციების წევრობის შესახებ და სხვა სახის ინფორმაცია არის უტყუარი, სანდო და ვალიდური. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა-გიმნაზია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად აქტიურად იყენებს არსებულ საკომუნიკაციო არხებს. ოფიციალური სოციალური ქსელიდან შემოსულ ინფორმაციაზე საჭიროების შემთხვევაში ხდება სათანადო რეაგირება. ამ ინფორმაციის ანალიზის შედეგები, მათი სანდოობის ხარისხის განთვალსწინებით, მხედველობაში მიიღება სკოლა-გიმნაზიის საქმიანობის შეფასების/თვითშეფასებისა და განვითარების ღონისძიებათა დაგეგმვისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა-გიმნაზიას აქვს მოქმედი ვებგვერდი, სადაც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა-გიმნაზიის მოქმედ ვებგვერდზე ქვეყნდება სხვადასხვა ინფორმაცია - გაცხადებები, ანონსები დაგეგმილი ღონისძიებებისა თუ აქტივობების შესახებ, ინფორმაცია მიღწეული წარმატებების შესახებ და მიმდინარე სიახლეები. სკოლა-გიმნაზიის ვებგვერდი იძლევა შემდეგ ინფორმაციას: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სასკოლო კურიკულუმი, დებულება, შინაგანაწესი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები და საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებგვერდი;
- სოციალური გვერდი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის /კომუნიკაციის წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა-გიმნაზიის ფინანსური მართვა გულისხმობს სკოლა-გიმნაზიის განვითარების სტრატეგიული მიზნების მისაღწევად ყველა რესურსის ეფექტიან გამოყენებას. ფინანსების სწორი განკარგვა საშუალებას აძლევს სკოლა-გიმნაზიას მიაღწიოს წარმატებას. სკოლა-გიმნაზიის ბიუჯეტი შესაბამისობაშია სამოქმედო გეგმასთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა-გიმნაზიის დირექტორი ბიუჯეტის შედგენისას ითვალისწინებს კათედრებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ მოწოდებულ საჭიროებების ნუსხას და დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლა-გიმნაზიის რექტორს. სკოლა-გიმნაზიის დაფინანსების წყაროებს წარმოადგენს ვაუჩერული დაფინანსება, სწავლის საფასური და სუბსიდია. შესყიდვები ხორციელდება პასუხისმგებელი პირის მიერ, რომელიც ახორციელებს ბაზრის მოკვლევას და აკეთებს საჭიროებებზე მორგებულ არჩევანს. სკოლა-გიმნაზია მაქსიმალურად ცდილობს ბიუჯეტი ისე შეადგინოს, რომ არ დასჭირდეს ცვლილებების შეტანა, ამის საშუალებას იძლევა წინა წლის ბიუჯეტის მონიტორინგი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საპროგნოზო ბიუჯეტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა სკოლა-გიმნაზიის დირექტორის №207 05.10.2023 წ. ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომლის მიზანია მოსწავლეთა და მათი მეურვის/კანონიერი წარმომადგენლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მათი ღირსების დაცვა. ამ მიზნის მისაღწევ ამოცანებს კი მოსწავლეთა უფლებების დაცვის მიმართულებით საჭირო ღონისძიებების დასახვა წარმოადგენს. მოსწავლეთა უფლებები, მათი კანონიერი წარმომადგენლის/უფლებები, ასევე რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, დამტკიცებული სკოლა-გიმნაზიის დირექტორის ბრძანება №245 (28.12.2022 წ.) დოკუმენტში გაწერილი რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის უფლებების დაცვა და უზრუნველყოფილია გარანტიები.

სასწავლო წლის დასაწყისში ყველა კლასის დამრიგებელი აცნობს მოსწავლეებს და მშობლებს მათ უფლებებს და მოვალეობებს. მოსწავლის უფლებებისა და მოვალეობების დარეგულირებაში დიდ როლი აქვს უსაფრთხოების დაცვის სამსახურს, მრჩეველთა საბჭოს, ფსიქოლოგსა და სკოლა-გიმნაზიის მოძღვარს. სსსმ მოსწავლეებისთვის ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად სკოლა-გიმნაზიის ისგ გუნდი

